



**ქ. წალენჯიხაში შიდა გზების  
ასფალტო-ბეტონის საფარის  
მოწყობის სამუშაოების**

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის  
საშუალებით განხორციელების

**სატენდერო დოკუმენტაცია**

(CPV 45233142 გზის შეკეთების სამუშაოები)

*ქ. წალენჯიხა. 2016 წელი.*

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის .....	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია .....	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....	5
4. დამატებითი ინფორმაცია .....	9
5. დანართი №1, .....	10
6. დანართი №2 .....	12

# 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ( შემდგომში - სისტემა) პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად. იხ. ვებ.გვერდი [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge).

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ცნობები და დოკუმენტები:

#### 2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- გ) ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;
- დ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

#### 2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;  
შენიშვნა: შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურიდან, დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

#### 2.1.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების ვადა დანართი №2-ის მიხედვით;
- ბ) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი №4-ის შესაბამისად.
- გ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, უკანასკნელი 3 სამი წლის განმავლობაში (2013-2014-2015) შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 სამი წლის განმავლობაში (2013-2014-2015) შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები (სააგტომობილო გზების და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია) საერთო ღირებულებით 1 500 000 ლარის ოდენობით.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

დ. ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1					
2					
3					

ვ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

- \* ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;
- \* შესასრულებელი სამუშაოების დასახელება;
- \* შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;
- \* ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება. წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიექტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები—სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა. ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1			
2			

ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

**2.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადების სისტემაში ატვირთვის თარიღს.**

2.3. ამ პუნქტის 2.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული და დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

2.4. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.5. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი ამ პუნქტის 2.1.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

**2.6. ანგარიშსწორების პირობები:**

2.6.1. სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.6.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.

2.6.3. შუალედური ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად, (ფორმა N2 ფორმა N3 შუალედური მიღება ჩაბარებისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის საფუძველზე) მიმწოდებელს საბოლოო მიღება ჩაბარების გაფორმებამდე შუალედურად აუნაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების 85% -მდე.

2.6.4 საბოლოო მიღება ჩაბარება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის, სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე

2.6.3. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი). ავანსის გაცემის წესი და პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში;

**2.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:**

2.7.1. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით. დანართი №3-ის მიხედვით.

2.7.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 45 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

## **2.8. შუსჭიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება**

**ქ. წალენჯიხაში გალის, წერეთლის, ქუჩულორიას ქუჩების და შიდა ქუჩების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.**

### **2.8.1. სამუშაოთა შესრულების ვადები**

სამუშაოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის განმავლობაში, ხოლო დამთავრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღე, ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად მიმწოდებელს ეძლევა 60 კალენდარული დღე სამუშაოების დამთავრების დღიდან.

### **ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.**

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

### **2.8.2 სამუშაოთა ვიზუალიზაცია**

**ქ. წალენჯიხაში გალის, წერეთლის, ქუჩულორიას ქუჩების და შიდა ქუჩების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.**

შესასრულებელი სამუშაოთა დეტალური მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში.

### **2.8.3. სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა**

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე; შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვადლებულია დაიცვას შემეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა.
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.
- სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.
- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.

### **2.8.4. სამუშაოთა შესრულების წესი**

სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით. შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

### **2.8.5. ნორმატიული დოკუმენტები**

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით:

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ასევე ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციისა, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების მოთხოვნების შესაბამისად. ამ პუნქტში აღნიშნული ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაოები ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს სატენდერო პირობებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები;

### **2.8.6. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი**

სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრება ამ პუნქტით, სპეციფიკაციებითა და ხელშეკრულების პირობებით.

საწარმოო ჟურნალში აღნიშნული და ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე ტექნიკური დამხმარე და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნას შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა საგადასახადო ფორმებში.

სამუშაოთა მიღება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

ინსპექტირების ჯგუფი ყოველ ეტაპზე შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს მიმდინარე ეტაპზე შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს სამუშაოები, თუ მიმწოდებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი ფარული სამუშაოების აქტები.

**2.8.7. სამუშაოთა საბოლოო მიღება**

მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ, რაზეც უნდა წარმოადგინოს ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა ფაქტიურად შესრულებულ მოცულობებზე და ხარისხზე.

**ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი.**

ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას და დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს ინსპექტირების ჯგუფის აქტის სახით. თუ ინსპექტირების ჯგუფმა სამუშაოები შეაფასა წუნით, სამუშაოთა დასრულების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შემსყიდველს დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

**2.8.8.. ბასაწივი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და ფასები:**

2.9.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი №4-ის მიხედვით.

2.9.2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

**ხელშეკრულების პროექტი (ქ. წალენჯიხაში გალის, წერეთლის, ქუჩულორისა და შიდა ქუჩების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები)**

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ქ. წალენჯიხა

----- 2016 წ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გოგა გულორდავას სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთის მხრივ და ----- სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვლდებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, ----- განხორციელება – შემდგომში სამუშაო.

**მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1. სამუშაოს მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს ----- (-----) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- (-----) ლარს.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტი), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტის, შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა №2 და ფორმა №3, ინსპექტირების ჯგუფის აქტი, ელ. ანგარიშ ფაქტურა) წარდგენიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში, საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

2.5 მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განხორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.6 დასაბუთებული აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით საერთო თანხის 30 % ოდენობით. გარანტია გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ და გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 45 დღით.

2.7 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით.

2.8 შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.7 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტიდან მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.9 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის ვადაში.

2.10 მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.11 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისისოდ შერჩეული პირის მიერ დადასტურებული აქტი.

2.12 გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.13 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.14 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

### **მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა**

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

### **მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები საბოლოო მიღებულად ჩაითვლება შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა #2, ანგარიშსწორების ფორმა #3, მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების ჯგუფის აქტის, ექსპერტიზის დასკვნის და ელ. ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

4.3. ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის საამისოდ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

### **მუხლი 5. მხარეთა უფლება -მოვალეობანი**

#### **5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს მხარეთა შორის შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გრაფიკის შესაბამისად;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი პროგრამა.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია შემსყიდველის თანხმობით;

დ) უზრუნველყოს ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადმოცემა შემსყიდველის საინფორმაციო სამსახურში;

ე) მიმწოდებელი ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს



შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული

ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადებში;

ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონის “საავტომობილო გზების შესახებ”, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

ზ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციის საინფორმაციო სამსახურთან;

თ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

ი) ანგარიშსწორებისას ყოველ ეტაპზე მიუთითოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მთლიანი და ჯამური ღირებულება;

კ) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 პროცენტი დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

ლ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

მ) მიმწოდებელს წარუდგინოს ფარული სამუშაოების აქტები და ფოტომასალა სამუშაოების წარმოების ეტაპების შესაბამისად;

## **5.2. შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

5.4 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად და/ან ძირითადი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით, საკონტრაქტო თანხის ამოწურვამდე.

5.5 ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მიმწოდებლის მიზეზით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას ანაზღაურებს საკუთარი ხარჯით.

5.7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უზარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.

5.8 უზარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.

5.9 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს.

5.10 შემსყიდველი და მის მიერ ინსპექტირებისათვის შერჩეული პირი (ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი.

5.11. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოებზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15 %-ის ოდენობით.

## **მუხლი 6. ფორს-მაჟორი**



6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

### **მუხლი 7. პასუხისმგებლობა**

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯერონად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების საერთო თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე,

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დადგევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

### **მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საბანკო გარანტია გაცემული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ, საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯერონად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

8.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

### **მუხლი 9. დაზღვევა**

არ გამოიყენება.

### **10. ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

10.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯერონად ასრულებს)

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მ იუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაელო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი

გარანტია.

### **მუხლი 11. უფლებების გადაცემა**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

### **მუხლი 12. სუბკონტრაქტორები**

12.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული უველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

12.4 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

12.5 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

### **მუხლი 13. შეტყობინება**

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

### **მუხლი 14. ინსპექტირება**

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

14.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

14.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე.

14.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14.6 სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს თანახმად საქართველოს კანონის “სავაჭრომობილო გზების შესახებ”, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

### **მუხლი 15. სხვა პირობები**

15.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

15.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩა ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან (თუ სხვა უფრო კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული), მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – 2016 წლის .....მდე..

**მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**„შემსყიდველი“**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

ს. კოდი 242739248

მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. II სართული

ხაზინის ერთიანი ანგარიში

სახაზინო კოდი 300393459

ტელ: 599 85 77 77

**„მიმწოდებელი“**

შპს „.....“

ს/კოდი .....

მისამართი: .....

ს.ს. ....

ბ. კოდი.....

ა/ა .....

ტელ: .....

გოგა გულორდავა

.....

**4. დამატებითი ინფორმაცია**

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. №5, მე-2 სართული. საკონტაქტო პირი: დავით სოსელია ტელ: 599 85 71 85

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:  
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:  
საიდენტიფიკაციო კოდი:  
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:  
ელექტრონული მისამართი:  
ბანკის კოდი:  
ანგარიშსწორების ანგარიში:  
ანგარიშის ნომერი:  
სახელმწიფო შემოსავლების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული  
სატენდერო წინადადების ფასი:

დანართი №2

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)  
ვის:

---

(შემსყიდველის დასახელება)  
მხედველობაში ვიღებთ რა, რომ \_\_\_\_\_ (შემდგომში –  
„მიმწოდებელი“)  
(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

---

(ტენდერის დასახელება )

ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.  
ამასთან, დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

---

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოთაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების

დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია \_\_\_\_\_  
გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

---

---

---

(თარიღი)

(მისამართი)